ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 17 (44) სექტემბერი 1991



# რა ვუყოთ მაკაროვის ტყვიით დაჭრილ ბიჭებს?!

მე ვესწრებოდი ამ მიტინგს...
რა მოხდა? რაც მოხდა მხოლოდ ...აკმა იცის, ამ საქმეში ღმერთი არ ... ჩარეული, სატანის ფიქრი გან...რციელდა ორ სექტემბერს თბილი... კინოს სახლთან.

...ომ გაგვიყლეტია ერთმანეთი ...ხალეთის სამარცხვინო ომის დროს, ...თა ომის დროს, იგივე განმეორდა, ..., იგივე კი არა, მსგავსი, იქ შეია...აღებული ქართველობა ებრძოდა ...წინააღმდეგე შეიარაღებულ ქართ...ლობას, აქ სხვანაირად მოხდა, შე...რაღებული „ომონი" და „ომონის...რიო" ქართველები. (ვაი, ამნაირ ქა...ველებს) ებრძოდნენ მშვიდობიანი ...ტინგის მონაწილეებს, ჩემზე ისეთ ...ბეჭდილებას ახდენდნენ, ერთმა...ს ეჯიბრებოდნენ, რომ ერთი და...ტუმით უნდოდათ გაეთიშათ მიტინ... „ურჩი მონაწილენი". მე ასეთი ...ტებული ცემა არსად მინახავს...
...რა ვქნათ? ბოლოს და ბოლოს ვი...ვართ? მკვლელები? ძმათა მკვლე...ები? მაშ პირველობისაკენ რად მი...ტვით? ვინ მოიგონა „რაც კარ...ი ვართ, ქართველები ვართო", ... დაიკარგნენ ის კარგი ქართვე...ბი?
...აშინ რაღას ვერჩით რუსს, რაღას ...ჩით სისხლიან როდიონოვს? ისი... აქ, საქართველოში იმიტომ იდგ... რომ თავიანთი ტოტალიტარული ...ელმწიფო დაეცვათ მართლა კარ... ქართველებისგან.
... მეგონა პირიქით მოხდებოდა. ...ხარდა, როცა პრეზიდენტისაგან ...ვე „გვარდია" აღდგა და ტყი... გამოვიდაო, არადა, მართლა „ტყი... გამოვარდნილები" ისროდნენ მა..., ხოლო რესპუბლიკის პრეზიდე... შეცდომაში შეიყვანეს და უთხ..., თითქოს დამნაშავენი მომიტინ... იყვნენ... მე მინდა ასე იყოს, ... შეცდომაში შეიყვანეს პრეზიდ..., სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას, ...ემ მართლა დაღუპული ყოფილა ...ქვეყანა და ამნაირ თავისუფლებას ...ღილი გვიჯობს!
...ლა ჭეშმარიტება, მხოლოდ ჭე...რიტება, როცა „ომონი" ხელკე...ით მოადგა მომიტინგეებს კუთხი... მე უმალ თვალი მოვკარი მანქა...თან გაჩერებულ შინაგანი ჯარების ... გენერალს. ერთს მოქმედს, გივი ...ტალიანს, მეორეს, გადამდგარს, ...რო კავსაძეს, მე მათთან მივედი ... ვუთხარი, კერძოდ, გივი კვანტა...ნს, —ბატონო გივი, თუ ესენი რა... უსაქციელოს ჰპირებენ, სასწრა... ალკვეთე, თორემ აქ სისხლი დაიღვრება-მეთქი. არაფერი არ მოხდებაო, დამამშვიდა. მეც ვენდე (ან რა ძალა მქონდა). ხოლო, როცა „ომონმა" აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგა თავის თავს და დაიწყეს ხელკეტებით ცემა, სანდრო კავსაძემ უთხრა გივი კვანტალიანს, — „რას შვებით, კაცო, ასე არაპროფესიონალურად მოქმედება როგორ შეიძლება, რას სჩადიხართ, თუ ნახაზი არა გაქვთ, როგორ უნდა მოიქცეთ, მე დაგიხაზავთ და გასწავლითო". მე იქაურობას გავეცალე, რადგან ლაპარაკის დრო აღარ იყო. დაიწყო სისასტიკე ომონის მხრიდან. დიახ, სისასტიკე, სხვას ვერაფერს დავარქმევთ. ასე იქცეოდნენ ფაშისტები, მაგრამ არა თავის ხალხის წინააღმდეგ.

კი, ბატონო, დარბეულმა ხალხმა ქვაც ისროლა და ფიცარიც, ერთიორს თავშიც მოხვდა, მაგრამ რა ვუყოთ მაკაროვის ტყვიით დაჭრილ ბიჭებს? იქნებ თვითონ ესროლეს ერთმანეთს? მოკლედ, მოხდა სამარცხვინო ამბავი, — ნახევარსაათიანი ცეცხლი გახსნეს ხალხის გასარეკად.

ქართველი ხალხის ისტორიაში ეს დღე ჩაიწერება შავი ასოებით, ასე თავისუფლებას ვერ მოვიპოვებთ, მე შინაგან თავისუფლებას მოგახსენებთ, ზნეობრივს, ქრისტიანულს, თორემ ლაპარაკით ფსიქიატრიულშიც მიხვალ და რომელიმე ავადმყოფი გეტყვის, რომ არამც თუ ყველაზე უფრო ჭკვიანია, არამედ ნაპოლეონია ან ჟოზეფინა!

მშვიდობიანი მიტინგი, როგორი არასანქცირებულიც უნდა იყოს, არ უნდა დავარბიოთ, სირცხვილი დამნაშავეს.

ერთი მინდა დავასკვნა, ჩვენი დამნდობი ეტყობა არც გარეულია და არც შინაური. ამიტომ, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო.

წუხელვე მივედი დაჭრილების სანახავად, მოვიდნენ ტელევიზიიდანაც, მინდოდა ორი სიტყვა მეთქვა ამ უმსგავსობის გამო, მაგრამ უარი მითხრეს... სამაგიეროდ, ტელევიზიით რაც მოვისმინე, ყურს არ დავუჯერე...

კვლავ ვაცხადებთ: ქართველის ქართველისადმი ასეთი დაუნდობელი მოპყრობით ჩვენ შორს ვერ წავალთ, ძალა თუ ერთობაშია, ერთობაში უნდა იყოს, ცალ-ცალკე მოგვერევიან. გაიგეთ, ჩვენი მომრევი დღეს კაცი არაა, ქართველი კაცის მომრევი ისევ და ისევ ქართველია.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

# უზენაესი საბჭოს დეპუტატი მოგვითხრობს

## (2 სექტემბრის მიტინგი)

1991 წლის 2 სექტემბერს 14 საათზე შესდგა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, სადაც გადაწყდა საინფორმაციო მიტინგის ჩატარება 6 სექტემბერს, 18 საათზე, რის შესახებაც განცხადებით ეცნობა ქ. თბილისის მერიას. იქვე გავიგეთ, რომ იმავე დღის 18 საათზე ედპ აწყობდა მიტინგს კინოს სახლის წინ, **დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ და მე** გადავწყვიტეთ, რომ მივსულიყავით მიტინგზე, რამეთუ დავინახეთ, როგორ გროვდებოდნენ მილიციელები იქ დაახლოებით 16 სთ. 30 წთ.-ზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინ მივედით 17 სთ. და 45 წუთზე. გავედით კინოს სახლთან, დავინახეთ აუარება მილიციელები და მაღალჩინოსანი ოფიცრები, მათ შორის ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობა. ცალკე იდგა თეთრ პიჯაკში ჩაცმული გენერალი გ. კვანტალიანი. დაახლოებით 17 სთ. და 55 წუთზე აკადემიის წინ გამოჩნდა ორ ასეულამდე მომიტინგე დროშებით ხელში, რომლებმაც შეუხვიეს ლეონიძის ქუჩისკენ. პირველი შეტაკება მოხდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ ახალგაზრდებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მილიციის მაიორი **ხახვაძე**. ეს ადგილი იყო ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისი. მომიტინგეებმა დაიხიეს კინოს სახლის კიბეებისკენ, სადაც ისევ გააგრძელეს თავიანთი შეტევა „გადაცმულებმა", მე და აკაკი ბობოხიძემ მივირბინეთ იქ, რომ გაგვეგო, ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები (გადაცმულები) და მოვუწოდეთ მათ სიმშვიდისაკენ. მომიტინგეები განლაგდნენ კინოს სახლის წინ, მაგრამ მათ უკვე შეტევა დაუწყეს მილიციელებმა. ჩვენი აზრით, მათი ძირითადი მიზანი იყო მომიტინგეთა დაშლა, მოედნის განთავისუფლება და მათთვის ვიდეოკამერის წართმევა. ეს დაადასტურა ქალაქის მილიციის უფროსმა.

მე და აკაკი ბობოხიძემ მივმართეთ გენერალ კვანტალიანს, რომ ყოველივე ამას შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა და უნდა მიეღო სათანადო ზომები. მას ხალხისათვის არ მიუმართავს.

ამ დროს კინოს სახლის წინ განლაგებულ მომიტინგეებს შემოუტიეს თეთრ მუზარადებში და ჯავშანჟილეტებში ჩაცმულმა „ომონელებმა", რომელნიც ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. ჯერ ეს კეთდებოდა მიწოლით, რასაც გაუძალიანდნენ მომიტინგეები, ამას კი, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხელკეტების ამუშავება მოჰყვა. აკაკი ბობოხიძე და მე ისევ შევვარდით ხალხში, აკაკიმ მიმართა „ომონელებს", რომ ჩვენ დეპუტატები ვართ, ასეთი რამ დაუშვებელია, ამას მოჰყვა მაიორ სახვაძის დარტყმა, რის შედეგადაც დეპუტატ ბობოხიძეს ყბა მოსტყდა, ხოლო მე მხარზე ხელკეტმა ჩამომკრა. „ომონელებმა" ხელკეტებით გადათელეს ხალხი და დაიკავეს მოედანი. ჩვენ მივმართეთ გენერალ კვანტალიანს, რათა მოეწვია „ომონელების" ხელმძღვანელი და შეეწყვიტა ხალხის დარბევა. ამ დროს, ხალხის მხრიდან, რომლებიც ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში, იქვე მდებარე სახლის წინა მოედანზე იყვნენ, დაიწყო სამშენებლო მასალის ნარჩენების სროლა, „ომონელები" შემდეგ აკადემიის კიდეს მოეფარნენ, „დაუბრუნეს" ხალხს სამშენებლო მასალები რუსთაველის გამზირის მხრიდან. ხალხმა დაიწყო დაბრუნება კინოს სახლის წინა მოედანზე და ამას მოჰყვა „ომონელების" სროლა ჰაერში. ჩვენ ამ დროს ვიდექით მოედნის გზაჯვარედინზე, ჩვენთან ერთად იდგნენ სხვა დეპუტატებიც ა. კავსაძე, რ. მემარნიშვილი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და დავინახეთ, რომ პისტოლეტებით ისროდა დაახლოებით ათი ომონელი.

ხალხი დაიბნა და გაიქცა. ომონელები გაეკიდნენ ხალხს ლეონიძის ქუჩისკენ ხელკეტების ცემით. ომონელები დაბრუნდნენ მოედნისაკენ. გამწარებული ხალხი შემობრუნდა ჯოხებით და ქვებით, აგურის ნამტვრევებით და განმეორებით შეუტია ომონელებს, რასაც მოჰყვა ომონელთა მხრიდან განმეორებითი სროლა. მომიტინგეთა ერთმა ნაწილმა სცადა ჩაეხერგა გზა ომონელებსა და ხალხს შორის. უნდა ითქვას, რომ მილიციელებიც ჩადგნენ ომონელების წინ, ჩვენი აზრით იმიტომ, რომ არ მომხდარიყო გამწარებულ ხალხსა და ომონელებს შორის ახალი შეტაკება.

ამის შემდეგ ომონელები წავიდნენ მოედნიდან, ხოლო მილიციამ გააკეთა ორი კორდონი პროსპექტზე, გასტრონომის წინ და სპორტული მაღაზიის წინ. ამ დროს დავინახე დაგვიანებული გ. ჰანტურია, რომელიც მორბოდა რუსთაველის ძეგლისაკენ.

მიტინგი მაინც მოეწყო ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში, რუსთაველის ძეგლთან. აქვე მინდა დავამატო, რომ ბატონი ნ. ნათაძე მიტინგზე მოვიდა ამ მოვლენის შემდეგ, მიტინგის ბოლოს და აღშფოთება გამოთქვა მომხდარის გამო.

**პაატა კოღუაშვილი.**



# საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა

## მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების და სსრკ ყოფილი რესპუბლიკების მთავრობებისადმი, მიღებული საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომაზე 1991 წლის 2 სექტემბერს.

სსფ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საქართველოში მყარდება პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობა. ეს ერთპიროვნული მმართველობა იურიდიულად ჩამოყალიბებულია პრეზიდენტის უფლებათა სახით, რომ:

ა. დაითხოვოს პარლამენტი

ბ. დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს თავისი ხელმოწერით პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ან კანონქვემდებარე აქტი.

გ. გამოსცეს ბრძანებულებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დ. მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრების, აგრეთვე დეპარტამენტის დირექტორების თანამდებობებზე წამოაყენოს კანდიდატები, რომელთაც პარლამენტი მხოლოდ ამტკიცებს.

ე. დანიშნოს პრეფექტები, რომელთაც ფაქტობრივად შეუზღუდველი უფლებები აქვთ ადგილზე.

ვ. დანიშნოს ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონების და შენაერთების მეთაურები.

ფაქტობრივად პრეზიდენტის ეს უფლება რეალიზებულია არაგონივრული ბრძანებულებების გამოცემით და არაგონივრული საკადრო პოლიტიკით, პრეზიდენტის ავტოკრატული ჩარევით პარლამენტის მიერ კანონპროექტების ნხილვის პროცესში, აგრეთვე, არაკორექტული ქცევით პარლამენტის შიგნით, რაც მკაფიოდ გამოხატული დიქტატორული ტენდენციის მაჩვენებელია.

პრეზიდენტის ზემოხსენებული დიქტატორული უფლებამოსილება მოპოვებულია თანდათანობით, იმის საფუძველზე, რომ მისი ხელმძღვანელობით არსებულმა ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ“ 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გადამწყვეტი უმრავლესობა მოიპოვა და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე მას [illegible] უმრავლესობამ ხმა მი[illegible] საარჩევნო წარმატების საფუძველია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას [illegible] დისიდენტური და ადამიანის უფლებადამცველი მოღვაწეობა წარსულში, რამაც მას მოსახლეობის ფართო მასის თვალში შარავანდი შეუქმნა, აგრეთვე, საჯარო გამოსვლებისა და პოლიტიკის ზოგადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულება. ზ. გამსახურდიას პოპულარობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ კომუნისტურმა პრესამ და ტელევიზიამ წინასაარჩევნო თვეების მანძილზე და მანამდისაც საზოგადოების თვალში ზ. გამსახურდიას პიროვნება და საქართველოს განთავისუფლების იდეა ერთიმეორეს გაუიგივა და ამომრჩევლის წინაშე ილუზორული არჩევანი „კომუნისტები თუ გამსახურდია?“ შექმნა. დღეს გამსახურდიას პოპულარობას ის გარემოებაც კვებავს, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის არმია დგას. ეს არმია ზოგ რეგიონში აქტიურად მოქმედებს [illegible] ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მისი ამოქმედების რეალური საშიშროება არსებობს.

დღეს საქართველოში ზემოხსენებული ერთპიროვნული მმართველობისადმი წინააღმდეგობის ტენდენცია ძლიერდება. საქართველოს პარლამენტი ისეთი უმრავლესობით აღარ უჭერს მხარს პრეზიდენტის წინადადებებსა და მოთხოვნებს, როგორითაც ადრე უჭერდა. ფართო საზოგადოებრიობა შეშფოთებულია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მართვაში დაშვებული სერიოზული შეცდომებით და ხელისუფლების დიქტატორული მიდრეკილებით. რამდენადაც მართვის დიქტატორულ ფორმებს საქართველოში ობიექტური სოციალური საფუძველი არა აქვს, სსფ თვლის, რომ ზემოხსენებული ავტორიტარიზმი, ისევე, როგორც არსებითად სოციალური სტრუქტურების არსებობა მართვაში და ეკონომიკაში, ხანმოკლე იქნება.

სსფ თვლის, რომ ზემოხსენებული მდგომარეობის გასწორებისათვის ზრუნვა საქართველოს ყველა დემოკრატიული ძალის უმნიშვნელოვანესი და ამჟამად მაქსიმალურად პერსპექტიული ამოცანაა. ამასთან ერთად, სსფ-ს საჭიროდ მიაჩნია, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობას, მსოფლიოს დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალებს, დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს და გაეროს, აგრეთვე სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებს შეახსენოს შემდეგი:

**ა. საქართველოში დემოკრატიის ჩახშობის ის ტენდენცია, რასაც დღეს ვხედავთ და რის წინააღმდეგ ბრძოლაც საქართველოს ერთი უმწვავესი ამოცანაა, დღეს, პირველ ყოვლისა, დამყარებულია საქართველოში მდგარი უცხო არმიის, კერძოდ, საბჭოთა არმიის შიშზე, რომელიც გავრცელებულია მოსახლეობის ფართო წრეებში. საქართველოს რესპუბლიკის ცნობა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მიერ და საქართველოდან საბჭოთა არმიის გაყვანა, ან თუნდაც ამ არმიის საქართველოში შემდგომი ყოფნისა და მისი სტატუსის მკაფიო განსაზღვრა საფუძველს გამოაცლის ყოველგვარ დიქტატურას საქართველოში და შეუძლებელს გახდის მის გამარჯვებას.**

**ბ. საქართველოში 1921 წლამდე, ანუ რსფსრ-ის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამდე არარსებული და 1922 წელს შექმნილი უკანონო ავტონომიის — ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებით საქართველოში დამთავრებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის პროცესი. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც დღეს აფერხებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საბჭოთა შეიარაღებული ძალების არსებობაა საქართველოში. საბჭოთა არმიისა და სსრკ შინაგანი ჯარების მოქმედების შეწყვეტა, რაც ბოლოს მოუღებს საქართველოს წესრიგის დამცველი ორგანოების პარალიზებას საქართველოს ტერიტორიაზე, საკმარისია საქართველოს რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. რა თქმა უნდა, სავსებით დასაშვებია, რომ საქართველოში არსებული ეროვნული ჯგუფების ურთიერთობა, ისევე, როგორც ამ ურთიერთობის რეგულირების ყველა ფორმა მუდმივი დაკვირვების საგანი იყოს მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების მხრიდან დღესაც და მომავალშიც.**

**სსფ აცხადებს, რომ საქართველოში პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობის და სხვა არადემოკრატიული მექანიზმების არსებობა არ უნდა იყოს საფუძველი იმისათვის, რომ მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ უარი უთხრას საქართველოს რესპუბლიკას მისი დამოუკიდებლობის ცნობაზე. საქართველოში დიქტატურის დაძლევის აუცილებელი და საკმარისი პირობაა საქართველოს რეალური განთავისუფლება საბჭოთა იმპერიისაგან, საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედების შეწყვეტის და საქართველოდან მათი გასვლის ჩათვლით. საქართველოში დემოკრატიის გამარჯვების პირობაა საქართველოს ცნობა მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა მიერ.**

# საქართველოს უზენაეს საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს

ბატონო თავმჯდომარევ!

თქვენს გამოსვლაში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1991 წლის 4 სექტემბერს თქვით, რომ მზად ხართ დღესვე მოაწეროთ ხელი კონვენციას ერთობლივი ეკონომიკური სივრცის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ან არ ჩაგიხედავთ ამ კონვენციისა და შატალინის პროგრამის ტექსტში, ან ვერ შეგინიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირიდან გასვლისათვის თანმიმდევრულად მებრძოლი რესპუბლიკები — ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და მოლდავეთი — ამ კონვენციას ხელს არ აწერენ, ან საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ წასვედით. თუ მოგეპოვებათ რაიმე საბუთი თქვენი გამოსვლის ამგვარი შეფასების წინააღმდეგ, შეგიძლიათ წარმოუდგინოთ იგი საზოგადოებას ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, გაზეთ „საქართველოს“ ჩათვლით, რომელიც მას სიამოვნებით დაბეჭდავს.

თქვენი სიტყვა რომ საქმედ ქცეულიყოს, სახელდობრ, თქვენ რომ მართლაც ხელი გქონდეთ მოწერილი ზემოხსენებულ კონვენციაზე, ეს საქართველოს ღალატი იქნებოდა (ღმერთმა გაშოროთ იგი). თუ იგი ხელმოწერილი იქნება ვინმეს მიერ, ან თუ ვინმე ამ ნაბიჯს მხარს დაუჭერს პარლამენტში ხელის აწევით, ესეც იქნება შეგნებული ღალატი, რომლის ჩამდენთა სახელსაც, ეჭვი ნუ შეგეპარებათ, იგივე ბედი ეწევა საქართველოში, რაც ორჯონიკიძისას ეწია, და რომლის ჩამდენთაც პირადად არ ასცდებათ ის პასუხისმგებლობა ერის წინაშე, რომელიც ორჯონიკიძეს ასცდა.

იმისათვის, რომ თქვენი დამოკიდებულება ხელშეკრულებისა და პროგრამის ტექსტისადმი იყოს სავსებით ცნობიერი და თქვენდამი, როგორც თანამდებობის პირისადმი და პიროვნებისადმი, სავსებით შერაცხადი, მივაპყრობ თქვენს ყურადღებას ხელშეკრულების რამდენსამე მომენტს.

ჯერ ერთი, კონვენცია მართლაც ეკონომიკური, ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა მარეგულირებელი კი არ არის თავისი შინაარსით, არამედ იგი ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელი ხელშეკრულებაა. მისი დამდებნი და წევრნი არიან სახელმწიფოები — ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები — და არა კომერციული ფირმები, ბანკები ან სხვა ეკონომიკური ერთეულები; მაშასადამე, თვით „ერთობაც“ სახელმწიფოებრივი სტრუქტურაა და არა ეკონომიკური. იმპერია ვერ გაბედავდა ამგვარი ტექსტის შემოთავაზებას, სახელმწიფოთა „ერთობა“ რომ არ არსებობდეს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ერთობის და ევროპარლამენტის სახით. მაგრამ თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, ჯერ ერთი, რომ ევროპარლამენტი მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოა, ხოლო ევროპული სახელმწიფოები, სსრკ ყოფილი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, უკვე არსებული (ყველა ნიშნით ჩამოყალიბებული) სახელმწიფოებია, რომელთა დამოუკიდებლობასაც მათი ერთობის არსებობით არაფერი აკლდება. შემოთავაზებული კონვენცია ცვლის საქართველოს (და სხვა რესპუბლიკების) სახელმწიფოების შექმნას სხვა სახელმწიფოს შექმნით და ამით პირველს, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის. მეორეც, კონვენცია, რომელიც არეგულირებს მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებს, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის დამფუძნებელია, ღიად ტოვებს საკუთრივ სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მიმართებების საკითხს და ამით ქმნის ვაკუუმს, რომელიც გარდუვალად შეივსება სხვა ნორმებით. უეჭველია, რომ ნორმები, რომელთა ფორმულირებას დღეს არ გვთავაზობენ, ისევ იმპერიული ნორმები იქნება. მესამეც, კონვენციაში არის პუნქტები, სადაც წევრის (ანუ რესპუბლიკის) ესა თუ ის უფლება პირობადებულია იმით, რომ მისი სურვილი არ ეწინააღმდეგებოდეს საერთო ინტერესებს, რაც რესპუბლიკაზე დიქტატის შესაძლებლობას ნიშნავს.

თქვენ თანახმა ხართ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, ანუ განახლებულ საბჭოთა კავშირთან, ერთობლივ თავდაცვაზე იმსჯელოთ. თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად ეს ნაბიჯი, თქვენთვის უთუოდ ცნობილი უნდა იყოს. ესაა არა სახელმწიფოთა (რესპუბლიკათა) შეთანხმება მათი არმიების მიერ ამა და ამ განსხვავებულ რეგიონთა დაცვის ან თუნდაც საერთო, ერთობლივი სარდლობის შესახებ, არამედ საერთო არმიის შექმნა. თქვენ იმის მოწმეც ხართ, რომ გორბაჩოვმა არ უპასუხა კითხვას, რომელი იქნება სახელმწიფო საზღვრები — რესპუბლიკების საზღვრები ერთმანეთს შორის, თუ მხოლოდ რესპუბლიკის და — რაც ამ შემთხვევაში იგივეა გამოდის — „ერთობის“ საზღვრები მესამე ქვეყანასთან. იმაზე, თუ რა პერსპექტივა აქვს ამგვარ „ერთობას“, უკვე ნათლად იქნა თქმული რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატი პიროვნების, ი. აფანასიევის მიერ. მან თქვა: ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პროცესი მიდის, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ინტეგრაციის პროცესი დაიწყებაო. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ერთხანს „მოკავშირე“ ერების მიმართ ლიბერალობა იქნება, შემდეგ კი იმპერია თავის მარწუხებს და ბორკილებს ისევ ძველი ძალით აამუშავებს.

თქვენს გამოსვლაში მიუტევებელია გამოთქმა, თუ ხელშეკრულება კარგი იქნა, მას ჩვენც უნდა შევუერთდეთ, თუნდაც ბრბოებმა გადაგვთელონ. ისინი, ვისაც თქვენ „ბრბოებში“ გულისხმობთ, მაღალი პოლიტიკური შეგნებით დაჯილდოებული მამულიშვილები არიან, რომელთაც ესმით, რომ ვერავითარი „ხელშეკრულება“, გარდა სსრკ შემადგენლობიდან საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ სრული და უკანმოუხედავი გასვლის დამდგენი დოკუმენტისა, ჩვენთვის მისაღები ვერ იქნება. ვერ იქნება, ჰუმანიტარული ანუ მაღალ მოტივებსაც რომ დავანებოთ თავი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სრული თავისუფლების გარეშე ჩვენი ეკონომიკური განვითარებაც კი გამორიცხულია.

მე მგონი, თქვენ, როცა დაკვირვებით გააანალიზებთ (ეკონომისტების სათანადო მონაწილეობით) შემოთავაზებულ ტექსტს, დაინახავთ, რომ იგი იმპერიის ფაქტობრივი განახლებაა, და ისევე კატეგორიულად წინააღმდეგი იქნებით მისი, როგორც, მაგალითად, მე გახლავართ.

დღეს ჩვენ ისტორიულად უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს უსისხლო ან თითქმის უსისხლო განთავისუფლებისა მსოფლიოს უკანასკნელი იმპერიისაგან, რომელიც ტყავს იცვლის და ამით გადარჩენას ცდილობს. ეს შედარებით ადვილი შესაძლებლობა, მაქსიმუმ, ერთიდან ექვს თვემდე გაგრძელდება. პირადად თქვენც ერთი — მაგრამ მხოლოდ ერთი — შესაძლებლობა გაქვთ კიდევ, აიცდინოთ იმ უალრესად უსიამოვნო შთაბეჭდილების გავრცელება თქვენს მოღვაწეობაზე საერთოდ, რასაც თქვენი გამოსვლის ზემოხსენებული ადგილები, აგრეთვე თქვენს მიერ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან „ერთად დაღვრილი სისხლის“ (9 აპრილის სისხლის ჩათვლით) და „მამა-პაპათა“ ერთობლივი ღვაწლის ხსენება ბადებს. თქვენ საქვეყნოდ უნდა განაცხადოთ, რომ თქვენი გამოსვლა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შეიცავდა შეცდომებს და რომ საქართველოს თქვენთვის არც პარლამენტისმიერი დავალების სახით, არც საზოგადოებრივ-აზრისმიერი დავალების სახით ამ შეცდომათა დაშვების რწმუნება არ მოუცია. თქვენ უნდა გარანტია მისცეთ თქვენს ქვეყანას, რომ მანამდე, სანამ სკამზე ხართ, ყოველთვის ამ კონვენციის წინააღმდეგი იქნებით. გისურვებთ, თქვენს თავში იპოვოთ საკმარისი ძალა, რათა ეს აუცილებელი ნაბიჯი გადადგათ.

პატივისცემით ნ. ნათაძე.

## საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის

# მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავების გამო, რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს შემდეგი განცხადება:

განვლილი დღეების მოვლენებმა დაგვანახა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმების ე. წ. „ომონის“ ნამდვილი სახე, რაც გამოიხატა მათ მიერ მშვიდობიან მიტინგეთა დარბევით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

რამდენადაც არსებობს საშიშროება განმეორდეს ანალოგიური მოქმედება, ერისა და ღვთის წინაშე მიცემული ფიცის ერთგული ეროვნული გვარდია აცხადებს:

თუკი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დამსჯელი დანაყოფები ხელყოფენ ქართველი ერის უსაფრთხოებას, შეეცდებიან მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევას, საქართველოს მოქალაქეთა ადამიანური და კონსტიტუციური უფლებების შელახვას, მაშინ ეროვნული გვარდია იტოვებს უფლებას აღკვეთოს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მოქმედება.

05.09.91

# ვინ ნიშნავს რედაქტორს?

ამას წინათ გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. ეს კანონი კარგახანს მზადდებოდა (გამოქვეყნდა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პროექტი) და, ბუნებრივია, საზოგადოება ინტერესით ელოდა უზენაესი საბჭოს მიერ მის მიღებას, რადგან აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ კანონმდებლობით განმტკიცებული სიტყვის თავისუფლება საზოგადოების თავისუფლების აუცილებელი პირობაა.

ცხადია, ჩვენ არ ვაპირებთ პრესის კანონის ავ-კარგის განხილვასა თუ წარმოჩენას (ეს საქმე სპეციალისტებისთვის მიგვინდია), მაგრამ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ერთ თვალშისაცემ კაზუსზე: მიღებულ კანონში აღარ არის აღნიშნული, ვინ ნიშნავს და ათავისუფლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალების ხელმძღვანელს, მაშინ, როცა ორივე პროექტში გარკვევით იყო მითითებული, რომ რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი გამომცემელი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, ან ირჩევს ათავისუფლებს კოლექტივი თავისი წესდების მიხედვით“.

გამოქვეყნებული კანონის მე-[illegible] მუხლში — „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და მომცემელი“ — თითქოს სავსებით დაგულოდ ამოულიათ ზემოთმოყვანილი ფორმულირება რედაქტორის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ.

საინტერესოა, ტექსტის საბოლოო ფორმირებისას რა მიზნით ამოიღო კანონმდებლებმა ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი?

# ოპოზიციური პარტიების განცხადება

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქვეყნის პრეზიდენტის მეთაურობით ჩვენი სამშობლო მიიყვანა სრულ კრახამდე სახელმწიფო ცხოვრების მრავალ სფეროში, დაწყებული საკადრო პოლიტიკით, რომლის შედეგადაც ერის სვებედი მთლიანად ხელთ იგდეს არაკომპეტენტურმა პირებმა და დამთავრებული ეკონომიკით, სადაც ძველებურად გაბატონებულია მეურნეობის სოციალისტური სტრუქტურები, რის გამოც ქვეყანა განიცდის უმძიმეს კრიზისს თავისი საწარმოო ძალებისა;

ვინაიდან ამ ხელისუფლების და უპირველეს ყოვლისა, პირადად პრეზიდენტის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის წყალობით ითრგუნება ადამიანის ელემენტური სამოქალაქო უფლებები, იდევნებიან ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ცხადდებიან „ერის მოღალატეებად“ და „კრემლის აგენტებად“, და, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სრული კონტროლის დაწესებით, საზოგადოება მოქცეულია ინფორმაციულ ვაკუუმში, რომლის პირობებშიც მთავრობა ადვილად ახორციელებს დეზინფორმაციის პოლიტიკას;

ვინაიდან, 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დღეებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სრული და გაუმართლებელი კაპიტულაცია მოახდინა ე. წ. „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ წინაშე, რითაც ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია მკვეთრად დასცა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში;

ვინაიდან რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთელი ეს თავისი მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმისათვის ობიექტურად ძირგამომთხრელი, დააგვირგვინა ამა წლის 2 სექტემბერს გამართული მშვიდობიანი მიტინგის სისხლიანი დარბევით, რითაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი აგრესიული ანტიდემოკრატიული ბუნება;

ვინაიდან, არავითარი გარანტია არ გვაქვს, რომ პრეზიდენტი ამ „პატარა“ სისხლიანი აქციით არ ამზადებს დიდ პროვოკაციას ეროვნული გვარდიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რასაც შეიძლება მოჰყვეს უკვე ნამდვილი სისხლისღვრა, გამომდინარე ყველა მორალური და პოლიტიკური შედეგით;

და ბოლოს,

ვინაიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის და მისი მორჩილი პარლამენტისა და ადმინისტრაციის მიზეზით უაღრესად ძნელდება საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება, რის ცხადი დასტურიცაა ეს ბოლო დღეები, როდესაც ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა უკვე სცნო 40-ზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერ პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მიგვაჩნია, რომ:

**1. უნდა გადადგეს რესპუბლიკის პრეზიდენტი;**

**2. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ უნდა დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.**

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში საჭიროდ მიგვაჩნია, კვლავ დავადასტუროთ, რომ, მიუხედავად ხელისუფლების მიერ კანონიერების სრული დისკრედიტაციისა, მთელ ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური კანონიერების ფარგლებში.

ხაზგასმით ვაცხადებთ მსოფლიოს წინაშე, რომ საქართველოს დემოკრატიული ძალები შეძლებენ დღეს საქართველოში არსებულ დიქტატორულ ტენდენციებისადმი წინააღმდეგობის გაწევას და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთა განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში. დემოკრატიის სისუსტე დღევანდელ საქართველოში არ უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ შეფერხდეს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სხვა სახელმწიფოთა მიერ.

განცხადების ხელმომწერ პარტიათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა სახელით:

**რევაზ შავიშვილი** („დას“-ი)
**ზურაბ ბერიშვილი** (თავისუფალ დემოკრატთა კავშირი)
**მიხეილ ნანეიშვილი** (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია — ბლოკი „თავისუფლება“)
**ვახტანგ ძაბირაძე** (რესპუბლიკური პარტია)
**ნოდარ ნათაძე** (სახალხო ფრონტი)
**ირაკლი შენგელაია** (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ბლოკი „თავისუფლება“)

8 სექტემბერი, 1991 წელი.

# ვის ეომება „ომონი“?!

**ხანამ 2 სექტემბერს თბილისში, კინოს სახლთან მომხდარ „ინციდენტზე“ ჩემს აზრს გამოვთქვამდე, როგორც თვითმხილველი, ჯერ მოკლედ აღვწერ თუ როგორ, რა ვითარებაში მოხდა ეს ამბავი, რამეთუ ბევრს მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ტექნიკურ მხარეზე“ მხოლოდ ოფიციალური ინფორმაცია გააჩნია, რომლის მიხედვითაც მომიტინგეებმა „მასობრივი უწესრიგობანი“ და „შეიარაღებული ექსცესი“ მოაწყვეს.**

**რამდენიმე ხნის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კინოს სახლთან, ორშაბათობით საკმაოდ რეგულარულად მართავდა ე. წ. „საინფორმაციო მიტინგებს“.**

**ზაფხულში ეს მიტინგები შეწყდა, ითქვა, რომ განახლდებოდა სექტემბრიდან.**

**მართლაც, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 31 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრის განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განაახლებს თავის ყოველკვირეულ მიტინგებს ორშაბათობით 1991 წლის 2 სექტემბრიდან... პირველი მიტინგი... მთლიანად დაეთმობა საბჭოთა იმპერიაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს, მოსკოვში მომხდარ გადატრიალებას: პოლიტიკური შეფასება მიეცემა ამ „თერმიდორიანულ გადატრიალებას“.**

**6 საათისათვის დაახლოებით 400-მდე კაცმა მოიყარა თავი კინოს სახლის წინ. რასაკვირველია, იყვნენ მილიციელებიც. მიტინგი დაწყებული არ იყო, რომ დამსწრეთა შორის ჩოჩქოლი და მიწევ-მოწევა შეიქნა. მიტინგის ორგანიზატორებმა მიკროფონში თქვეს, რომ ხალხში არიან „გადაცმულები“, რომლებიც ცდილობენ მიტინგის ჩაშლას და ხალხს მოუწოდეს „არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს“. ეს იყო და ეს, რიხი თქმაც მიკროფონიდან მოასწრეს. უცბად გაჩნდა ლურჯ ფორმაში, ჯავშანჟილეტებსა და ჩაფხუტებში გამოწყობილი, ხელკეტებით („დუბინკებით“) აღჭურვილი, როგორც შემდეგ გაირკვა, მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი — „ომონი“. უნდა ვთქვა, რომ ამგვარად გამოწყობილ-აღჭურვილი წესრიგის დამცველები თბილისში პირველად 1988 წლის 25 თებერვალს ვნახე ქაშუეთის ეკლესიასთან გამართული მიტინგის დროს რუსის ჯარისკაცების სახით.**

**„გამოცხადება“ იმდენად მოულოდნელი იყო, რომ როგორც იტყვიან, შეშინებაც ვერ მოვასწარით (ერთი პირობა, ბალტიისპირეთიდან გადმოსროლილ „არამშობლიურ“ „ომონადაც“ კი მივიჩნიე ეს ჩვენი „შემოსწრებულები“ — იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს — ფორმით, რასაკვირველია).**

**წესრიგის დამცველები ყოველგვარი დაზვერვისა და ახსნა-განმარტების, ზედმეტი „ლაი-ლაის“ გარეშე პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ — ყოჩაღად დასცხეს „დუბინკები“ კიბეების ზემოთ თავმოყრილ ხალხს.**

**სახალხოდ ქართველების ქართველებზე ესხოდენ აგრესიული მისვლა, გამეტებული, დაუნდობელი ცემა-ტყეპა იმდენად შემზარავი რამ იყო (როგორ არ გავიხსენოთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ, მოსკოვში პუტჩის დროს რუსმა ჯარისკაცებმა, ბრძანების მიუხედავად, ხელი არ აღმართეს თანამემამულეებზე!), რომ ზოგი მაყურებელი აღშფოთებულ ყვირილსა და ხტვენას არ დასჯერდა და მომიტინგეებს მიეშველა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არც ეს უკანასკნელნი აღმოჩნდნენ ჯაბანნი, მედგრად დახვდნენ თავდამსხმელებს და რამდენიმე წუთის ხელ-„დუბინკა“-ჩართული ბრძოლის შემდეგ უკუაქციეს კიდეც მოძალადენი.**

**ამის შემდეგ „ომონელებმა“ უკვე ცეცხლსასროლ იარაღს მიმართეს — სროლა ატეხეს, რის შედეგადაც სამი კაცი დაიჭრა...**

**მალე „ვალმოხდილმა“ „ომონმა“ ბრძოლის ველი დატოვა, თუმცა დავალება შეუსრულებელი დაურჩა — მიტინგი — ახლა უკვე გაცილებით მეტი ხალხის მონაწილეობით — მაინც ჩატარდა. გასაგებია, რომ მისი თემა კარდინალურად შეიცვალა — როგორც იტყვიან, მწვავე მსჯელობის საგანი გახდა დარბევის ფაქტი, და საერთოდ საქრთველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ხელისუფლების კურსი...**

**რამდენიმე ხნის შემდეგ მომიტინგეებმა საქართველოს ტელევიზიასთან გადაინაცვლეს...**

* * *

მშვიდობიანი მიტინგის ბოლშევიკურ-კომუნისტური მეთოდით დარბევის ფაქტი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეტად დიდ გაკვირვებას იწვევს.

დღეს, როდესაც **საკუთარი ხალხის** წინააღმდეგ თითქმის არსად არ მიმართავენ მსგავს „ღონისძიებებს“, როცა მოსკოვშიც კი, საგანგებოდ გამოზრდილმა სუკ-ის სპეცნაწილებმა უარი თქვეს თანამოძმეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე, აქ, ჩვენთან, თბილისში, ქართველები მიუსიეს თანამოძმეებს — როგორ თუ „არასანქცირებულ მიტინგს“ მართავთო („მიზეზიც“ რა ტკივილამდე ნაცნობია!..).

გაკვირვებას იწვევს ხელისუფლების შიგნით პოლიტიკური ალღოს დეფიციტიც. იმის მაგივრად, რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ მიტინგი, ამერიკელი კონგრესმენები „გაეგზავნათ“ მასზე — თქვენს პრესაში რომ წერენ, საქართველოში დემოკრატია არაა, ა, ბატონო, მიბრძანდით ოპოზიციური პარტიის მიტინგზე და თავად ნახეთ, არის თუ არა ჩვენში სხვაგვარი აზრის გამოთქმის თავისუფლებაო, მათს „თვალწინ“ (მიტინგზე, რომელიც, როგორც ითქვა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ჩატარდა, მცირე ხნით მოვიდა კონგრესმენი მაქ ქუეინი) აღნიშნული „დემოკრატიის ზეიმის“ ჩატარებით — სრულიად საწინააღმდეგო უჩვენეს, რითაც, არა მგონია, დიდი პოლიტიკური ქულები მოეპოვებინოთ მათს, საერთოდ დემოკრატიული მსოფლიოს თვალში (სხვათა შორის, თუ რამე შეუშლის ხელს საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას, სწორედ ამგვარი ფაქტები შეუშლის და არა თავად მიტინგები, როგორც ოფიციოზი ცდილობს დაგვარწმუნოს)...

და მაინც, კარგად რომ გავაცნობიეროთ, მომხდარი ფაქტი მთლად გასაკვირად და მოულოდნელად არ მოგვეჩვენება. მსგავსი ამბები ხშირად ხდება **იქ**, სადაც ხელისუფლება „საყოველთაო“, უკრიტიკო, სიყვარულით სარგებლობს, სადაც ლაგამმოშვებული ლიქნითა და პირფერობითაა განებივრებული. ამის გამოცაა, რომ ამ უკანასკნელს უჩნდება შეუმცდარობის, ყველაფრის მცოდნე-შემძლის ილუზია, რწმენა იმისა, რომ ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი ისაა, რომ მხოლოდ მისი გზაა სამართლიანი, რომ იგი ფლობს „სეზამის გასაღებს“.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში „კრამოლად“ აღიქმება სხვა აზრი, სხვა „ჭეშმარიტება“, სხვა „გზა“, რომელიც ყოველი საშუალებით უნდა აღიკვეთოს, მითუმეტეს, როცა იცი, რომ ამ ნაბიჯსაც **მასები ჩვეული მოწონებითა და „გაგებით“** შეხვდებიან.

და აქ დგება მასის პასუხისმგებლობის საკითხიც, დიახ, პასუხისმგებლობა ხელისუფლებასთან ერთად **უნდა გაიზიაროს** ამ, ყველაფრის **„გამგებმა“** მასამაც, რომელიც, თავისი, **მეტისმეტად აქტიურად-უკრიტიკო მხარდაჭერით** ხშირად ცეცხლზე ნავთს უსხამს, აქეზებს (ზოგჯერ კი აიძულებს კიდეც — რამეთუ არა მარტო ხელისუფლება ახდენს გავლენას მასაზე, არამედ ეს უკანასკნელიც პირველზე) ხელისუფლებას მიუღებელი ნაბიჯების გადადგმისაკენ...

არადა, ფაქტია, რომ „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ მართლაც სრულ მხარდაჭერას და სოლიდარობას უცხადებს დარბევის ფაქტს. მათი ლოგიკა და არგუმენტები დიდი სიახლით არ გამოირჩევა: „მოღალატეები, კრემლის აგენტები უარესის ღირსნი არიან!“ ამგვარი განწყობილება „შესანიშნავად“ გამოიხატა 3 სექტემბერს და მომდევნო დღეებში საქართველოს ტელევიზიით (რომელიც ამჯერადაც „მოწოდების სიმაღლეზეა“), პროგრამა „მოამბეთი“ ქუჩაში მოწყობილი „პრეს-გამოკითხვისასაც“, როდესაც თავის (და ხელისუფლების) სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული მოქალაქეები, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანგარიშს არ უწევდნენ რა, დღეს ესოდენ პოპულარულ უდანაშაულობის პრეზუმპციასაც კი, **მთელი ქართველი ხალხის სახელით** (!) კატეგორიულად მოითხოვდნენ მთელი რიგი პიროვნებების დაპატიმრებას, დასჯას, მოკვეთას...

ამან, ისევე როგორც **იმავე ტელევიზიით, იმავე „მოამბეთი“** ინდივიდუალური თუ კოლექტიური წერილების, დაწესებულებების განცხადებების, დეპეშების კითხვა, რომლებშიც ასეთივე **„ლოგიკითა“ და „არგუმენტებით“** ასეთივე **„სამართლიანი“** მოთხოვნები ჰქუხს, — არ შეიძლება 30-იან წლებში „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ მიმართული მშრომელთა **ანალოგიური ენთუზიაზმი** არ გაგვახსენოს.

ეს კამპანია, მისი წაქეზება-წარმოჩენა **სახელმწიფო** ტელევიზიით ჩრდილს აყენებს, „თავს სჭრის“ არა მარტო მის ავტორებს, არამედ **მთელ ქვეყანას.** ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ (პირველ ყოვლისა კი ხელისუფლებამ არ უნდა დაივიწყოს), რომ დღეს ესოდენ აქტიური „ხალხოსნები“ სამიოდე წლის წინ „მშრომელთა კრებებსა და მიტინგებზე“ (რომელთაც ასეთივე რიხით უჩვენებდნენ იგივე ტელევიზიით), ასევე აქტიურად და დიდის ენთუზიაზმით გმობდნენ და მოითხოვდნენ ბატონ ზვიად გამსახურდიასა და სხვათა „ალაგმვას“...

სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია ერთი ბრძნული ნათქვამი: **„ისტორიის გაკვეთილი ისაა, რომ მისგან გაკვეთილს ვერ ვიღებთ!“...**

**ფელიქს კოჭიაშვილი**

# ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართვა

**თბილისში, 2 სექტემბერს მომხდარი სისხლიანი ტრაგედიის შემდეგაც კი, როდესაც ფაქტიურად დაიხვრიტა მშვიდობიანი მიტინგი, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, თითქოს ყველაფერი რიგზეა, საქართველო სულ მალე მიაღწევს დამოუკიდებლობას. ახე რომ, საგანგაშო ვითომდაც არაფერია და ამგვარი განწყობილება ოდენ ოპოზიციის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ თუ მოვლენებს უფრო კრიტიკულად შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ქვეყანა კატასტროფის პირასაა მისული. იმედები, რომ ახალი ხელისუფლების დროს ბევრი რამ გამოსწორდებოდა, არ გამართლდა, აშკარად გამოიკვეთა მისი ტირანული იერსახე. ამას ემატება მმართველთა დიდი ნაწილის არაკომპეტენტურობა, კორუფციონიზმი, ხალხი აპათიამ მოიცვა. ოფიციალური ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობა უმეცრებაში ამყოფოს და არნახულ დემაგოგიას ეწევა. იგი უგულებელყოფს ოპოზიციას და ახშობს ამ უკანასკნელის აზრებს. მონოპოლიზებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სასტიკად ილახება ადამიანის უფლებები. ინტელიგენციამ, როგორც საზოგადოების მოწინავე, შეგნებულმა ნაწილმა კარგად უნდა გააცნობიეროს დღევანდელი მდგომარეობა, იგრძნოს ისტორიული პასუხისმგებლობა ერის წინაშე, არ უნდა დაიკავოს პასიური და მომლოდინე მდგომარეობა.**

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც მუდამ იყო და რჩება ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარების მომხრედ, მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მომავალი და ვისაც გსურთ, რომ ჩვენი სამშობლო ცივილიზებული მსოფლიოს ორგანული ნაწილი გახდეს და არა ანაქრონიზმად ქცეული კიდევ ერთი დიქტატორული რეჟიმის ბუდე, აქტიურად დაუდექით გვერდში დემოკრატიისათვის და პროგრესისათვის მებრძოლ ძალებს, ხმა აღიმაღლეთ ტირანიისა და რეაქციის წინააღმდეგ!**

# „ჭირისუფალიც“ ასეთი უნდა

**ქვეყნის ჭირისუფალი უპირველეს ყოვლისა ის არის, ვისაც ხალხი თავის რჩეულად აღიარებს და ერის ბედ-იღბალს ჩააბარებს.**

**ბედნიერია კაცი, თუ ამ მაღალ მისიას პირნათლად და ვაჟკაცურად განახორციელებს და უბედურია, თუ ერისა და ქვეყნის საქმეს საკუთარ ინტერესებს გადააყოლებს.**

**მადლობა ღმერთს, რომ აწინდელ უზენაეს საბჭოში არა ერთი და ორი ჭეშმარიტი ჭირისუფალი გვყავს, — მამულისა და ხალხისათვის თავდაუზოგავი ადამიანები. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომელთაც არც სიტყვით და არც საქმით არ დაუმტკიცებიათ თავიანთი რჩეულობა. უძრავად და უმძრახად არიან, ხოლო თუ, მოხდა სასწაული და, ალაპარაკდნენ და ამოქმედდნენ, ისეთს იტყვიან და იქმენ, რომ გული გადაგიქანდება.**

**სწორედ ამგვარი „ჭირისუფალია“ ბატონი პაატა ბარათაშვილიც. უზენაესი საბჭოს წევრი და ახალგაზრდულ საქმეთა ქვეკომისიის თავმჯდომარე განაწყენებულია, რომ, თურმე, ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს ხელისუფლების მისამართით ცხოვრების დონის ყოველდღიური დაცემისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო; შფოთავენ და წუხან, რომ არა აქვთ კარაქი და შაქარი. თურმე, ნუ იტყვით და, მმართველი ბლოკი, არჩევნების დროს, ხალხს მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფლებას აღუთქვამდა და არა ცხოვრების ეკონომიკური დონის მოწესრიგებას, და ახლა, როცა თავისუფლება კარზე მოგვდგომია, ამგვარი რამეების მოთხოვნა უსამართლობა ყოფილა.**

**აი, ასეთი გახლდათ ბატონ პაატა ბარათაშვილის 8 სექტემბრისეული სატელევიზიო გამოსვლის ძირითადი აზრი, და, ღმერთმა უწყის, კიდევ რანაირ „მარგალიტებს“ წამოაფრქვევდა, რომ მის გვერდით მჯდარ ბატონ თეიმურაზ ქორიძეს მოხერხებულად არ ჩამოერთვა სიტყვა.**

**ბატონ პაატას მეგობრულად შევნიშნავთ, რომ ხელისუფლება და მისი წამყვანი პოლიტიკური ბლოკი, იმისდამიუხედავად, ჰპირდებოდნენ თუ არა ხალხს ეკონომიკურ კეთილდღეობას, პასუხს აგებენ ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ მდგომარეობაზე.**

**რაც მთავარია, ჩანს, ბატონ პაატას აღარ ახსოვს არც ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა (სადაც, სხვათა შორის, მრავლად არის დაპირებები) და არც უზენაესი საბჭოს სხდომები, სადაც 28 ოქტომბრიდან მოყოლებული, უწინარესად, სწორედ მოსახლეობის ეკონომიკურად უზრუნველყოფის საკითხი ფიგურირებს.**

**მაგრამ ცუდი მეხსიერება ცუდი კაცობის ბრალი არ არის და მას ადამიანს ვერ უსაყვედურებ, მაგრამ ხალხის გასაჭირისადმი უსულგულო დამოკიდებულება თუ რას უნდა მიეწეროს, მკითხველმა განსაჯოს.**

**მომიტევოს ბატონმა პაატამ, მაგრამ უსულგულობის გარდა სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ფაქტს, როცა დეპუტატი სარჩო-საბადებლის ძიებაში გატანჯულ ხალხს ეტყვი: როდის დაგპირდი დაპურებას, ახლა რომ შემომჩივით? ეს იმას ჰგავს, ჭირისუფალმა ავადმყოფი გაკიცხოს: ავად რატომ ხარ, მე რომელი მკურნალი მნახეო.**

**ვაი, ასეთ „ჭირისუფალს“ და ვაი, ავადმყოფს ასეთი ჭირისუფლის ხელში.**

**კობა ლიკლიკაძე**

# ინტერვიუ ბატონ აკაკი ბაქრაძესთან

ზუსტად ერთი წლის წინ ბატონ აკაკი ბაქრაძეს ვეწვიე. დრო რთული იყო და ჩავთვალე, რომ მისი სიტყვა ერს სჭირდებოდა.

მასპინძელმა ჩვეულებისამებრ მიმიღო — გულითადად. ბევრი საგულისხმო რამ ბრძანა, ჩემის აზრით უაღრესად დიდმნიშვნელოვანი. ინტერვიუს დაბეჭდვა კი არ მოხერხდა. ზოგიერთმა სავარძლისა და ვერცხლისმოყვარულმა რედაქტორმა იგრძნო რა ახალი კონიუნქტურა, კატეგორიული უარი განაცხადა გაბატონებულისაგან განსხვავებული მოსაზრებების გამოქვეყნებაზე.

შედეგებს, თავის დროზე ყურად რომ არ ვიღეთ ბატონ აკაკის შეგონებები, დღეს ვიმკით...

რამდენიმე დღის წინ სტუმრად კვლავ გავხლდით საქართველოს დაუდეგარ მოჭირნახულესთან, მოვუბოდიშე შარშანდელი არშემდგარი პუბლიკაციის გამო და რამდენიმე შეკითხვით მივმართე. მჯერა, მათზე პასუხები თქვენამდე მოაღწევს ძვირფასო მკითხველო!...

თამრიკო მოლაშვილი

# დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა

**— ბატონო აკაკი, კიდევ ერთხელ უკიდურესად დაიძაბა მდგომარეობა საქართველოში. მიტინგებზე გამომსვლელთა და მოქალაქეთა შორის ხშირად გაისმის საუბარი მოსალოდნელი სამოქალაქო ომის შესახებ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს საშიშროება?**

— სამოქალაქო ომი საქართველოში უკვე მიმდინარეობს, ოღონდ, ჯერჯერობით არასისხლისმღვრელი. ის, რასაც ტელევიზიით გადასცემენ, გაზეთებში ბეჭდავენ, მიტინგებზე ამბობენ, არ არის აზრთა ურთიერთგაცვლა-გამოცვლა, დავა, კამათი, ეს ომია, ოღონდ, როგორც ითქვა, სიტყვიერი და არასისხლისმღვრელი. ქართველი ხალხის გონიერებაზე, თავდაჭერილობაზე, სიმშვიდეზეა დამოკიდებული გადაიქცევა თუ არა სიტყვიერი ომი სისხლისმღვრელ ომად. დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უკვე აღარ კმარა ამა თუ იმ ბანაკის წარმომადგენელთა გონიერება. საჭიროა და აუცილებელი მთელი ერის სიბრძნე.

**— სამოქალაქო ომი ყველა ხალხისათვის ტრაგედიაა. ქართველები ემოციურები ვართ. ამის გათვალისწინებით და დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ქართველი კაცის მიერ ქართველის სისხლის დაღვრა ხომ არ მიგვიყვანს ერის საბოლოო განადგურებამდე?**

— გეთანხმებით. ყველა ხალხისათვის სამოქალაქო ომი გაუგონარი, ენითაუწერელი უბედურებაა, განსაკუთრებით ქართველი ერისათვის.

ჯერ ერთი, თუ საქართველოს ისტორიას გავიხსენებთ, კარგად დავინახავთ, რა შეუბრალებელი ჟუჟვა ვიცით ჩვენ ერთმანეთის. არ იქნება შეწყალება არც ბავშვის, არც ქალის, არც მოხუცის.

მეორეც, საქართველოში სამოქალაქო ომით ხელს მოითბობენ ჩვენში კომპაქტურად დასახლებული არაქართველები და სამუდამოდ წაგვართმევენ მიწა-წყალს.

მესამეც, ქართველთა შორის სისხლიანი შუღლით ყოველთვის სარგებლობდა მესამე ძალა და საქართველოს იპყრობდა. თუ სამოქალაქო ომი ატყდა, ახლაც გამოჩნდება ეს მესამე ძალა. მშვიდობისა და წესრიგის დამყარების სახელით იგი მონობის ახალ უღელს დაგვადგამს.

თუ ჭკუა არ გვეყო და სამოქალაქო ომი მაინც ატყდა, ყოველი ქართველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს იქნება ქართველი ხალხის არსებობის დასასრული. ნუ იფიქრებთ, რომ ვისმეს ვაშინებ. დავაკვირდეთ საქართველოში და ყოფილ სსრკ-ში არსებულ ვითარებას და ყველაფერს ნათლად დავინახავთ.

საქართველოში უმძიმესი კრიზისული მდგომარეობაა. ყველგან და ყველაფერში — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობაში, კულტურაში. კარზეა მომდგარი შიმშილობა. მოუგვარებელია ეთნოკონფლიქტი შიდაქართლში. აფხაზეთი ამოსაფრქვევად გამზადებულ ვულკანს ჰგავს. დღე-დღეზეა ეს მოსალოდნელი. არც აჭარაშია სიმშვიდე. გაურკვეველია ეროვნული გვარდიის გარშემო შექმნილი სიტუაცია. მოუწესრიგებელია სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების პრობლემა.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ყოფილ სსრკ-ში. ხუხულასავით დაინგრა მსოფლიოსათვის თავზარდამცემი სახელმწიფო. უპატრონოდ დარჩა თხემით ტერფამდე თერმობირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღით აღჭურვილი უზარმაზარი არმია, რომელმაც აღარ იცის, ვის დაემორჩილოს — არარსებული სსრკ-ის არარსებულ ხელისუფლებას, რსფსრ-ის მთავრობას, თუ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობას? არავინ უწყის, რას მოიმოქმედებს ეს არმია. განა დასაჯერებელია, რომ არ გამოჩნდება ან კომუნისტი დენიკინი, ან კომუნისტი კოლჩაკი, ან კომუნისტი ვრანგელი? ეს ყველაზე დუხჭირ გონებასაც კი შეუძლია წარმოიდგინოს, რით ემუქრება კაცობრიობას თერმობირთვული სამოქალაქო ომი სსრკ-ში.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული ჩვენი მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი. სომხეთ-აზერბაიჯანის ომი გარდაუვალია. არავინ უწყის, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი. არც ერთ მხარეს არა აქვს ის ძალა, რომ ერთმანეთი უცბად დაამარცხონ. ეს ხანგრძლივი დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საქართველოს ტერიტორიაზეც გადმოვა, რადგან ჩვენში აზერბაიჯანელებიც და სომხებიც მრავლად ცხოვრობენ. რაკი საქართველოს არ ჰყავს რეგულარული არმია, არ იქნება წესრიგის დამყარების შესაძლებლობა მოშუღარ აზერბაიჯანელთა და სომეხთა შორის. ბრძოლისუნარიანი, კარგად შეიარაღებული არმიის შექმნას კი წლები სჭირდება. თათარიაზნად ეს არ მოხერხდება.

**— ბატონო აკაკი, ერის მდგომარეობის ამსახველი საშინელი სურათია. ამ ეტაპზე რა გესახებათ ხსნის, გადარჩენის გზად? არსებობს კი იგი საერთოდ?**

დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა — პარიტეტულ საფუძვლებზე ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის შექმნა. კონფრონტაციის გზა საქართველოს არყოფნის უფსკრულში მიაქანებს.

ეს კარგად უნდა გააცნობიეროს ყველა ქართველმა ცალ-ცალკე და მთელმა ერმა ერთად.

# მიტინგების ქვეყანა

2 სექტემბრის სამარცხვინო აქციის შემდეგ საპროტესტო გამოსვლების ტალღა აგორდა. საქართველო ადრე თუ ლოზუნგების ქვეყანა იყო, ახლა მიტინგების ქვეყნად გადაიქცა... ყოველდღიურად, პერმანენტულად გრძელდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, დამოუკიდებლობის პარტიისა და მონარქისტთა მიტინგები. ოპოზიციური პარტიები ითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას. შაბათს, 7 სექტემბერს, გაიმართა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული მიტინგიც მთავრობის სახლთან. ბატონ თეიმურაზ ჭორიძისა და ბატონ აკაკი ასათიანის გამოსვლებში იყო მოწოდება ეროვნული ერთიანობისა და თანხმობისაკენ. იგივეს ვერ ვიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლასთან დაკავშირებით. მან, მას შემდეგ, როდესაც მოიხსნა პასუხისმგებლობა 2 სექტემბრის მიტინგის გამო, რატომღაც ხაზი გაუსვა იმას, რომ არაფრის ეშინია, რადგან მასთან არის ის ხალხი, სადაც დაიბადა და გაიზარდა...

პრეზიდენტმა მოუწოდა ხალხს გაენადგურებინათ საქართველოს მოღალატეები...

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც, სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს. მასში დაგმობილი იყო ედუარდ შევარდნაძის მოღალატური საქმიანობა და იყო მოწოდება შეკავშირებისა და საქართველოს საბოლოო განთავისუფლებისათვის, მიტინგის მრავალრიცხოვანი მონაწილენი შეძახილებით: ზვიად! ზვიად! გამოხატავდნენ საქართველოს პრეზიდენტისადმი მხარდაჭერას. იქვე, ასიოდე მეტრის დაშორებით, იდგა შედარებით მცირერიცხოვანი ხალხი და გაისმოდა მათი შეძახილებიც: ჩა-უ-შე-სკუ, ჩა-უ-შე-სკუ!

საბედნიეროდ, 7 სექტემბრის ვნებათაღელვა მშვიდობიანად დამთავრდა.

ერთი დღით ადრე კი, 6 სექტემბერს, უნივერსიტეტის წინ გაიმართა საკმაოდ ხალხმრავალი მიტინგი ოპოზიციური პარტიებისა, მიტინგის ძირითადი ორგანიზატორი იყო საქართველოს სახალხო ფრონტი.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**
**ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის"**
**„დახ"-ის**
**თავისუფალ დემოკრატთა კავშირის**
**ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის**
**რესპუბლიკური პარტიის**
**საქართველოს სახალხო ფრონტის**
**ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის**

# საინფორმაციო მიტინგის რეზოლუცია

1. მიტინგი გმობს „კონვენციას ეკონომიკური ერთობის შექმნის შესახებ", როგორც იმპერიის განახლების ცდას, და ყოველგვარ დასტურს ამ კონვენციის შექმნაზე საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ხელისმოწერით ან კენჭისყრისას დადებითი ხმის მიცემით, საქართველოს ღალატად მიიჩნევს. მიტინგი მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს, არ დაუშვას ამ კონვენციის ხელმოწერა და მისი რატიფიკაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ.

2. მიტინგი გმობს 2 სექტემბერს, თბილისში, კინოს სახლის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამართული მიტინგის დარბევას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და ამ ფაქტზე პასუხისმგებლად თვლის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონს. მიტინგს მიაჩნია, რომ მომხდარის გამო საქართველოს პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მოვალეობაა თანამდებობიდან გადადგომა.

3. მიტინგი აღნიშნავს საქართველოში პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობის თანდათანობით დამკვიდრებასა და ამ მმართველობისათვის დიქტატორული ფორმების თანდათანობითი მიცემის ფაქტს. მიტინგს მიაჩნია, რომ საქართველოში დიქტატურის არდაშვება დღეს ქართველი ხალხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

4. მიტინგი აღნიშნავს, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნა დღეს იმპერიული ძალების ერთ-ერთი ამოცანაა, და ქართველ ხალხს მოუწოდებს, ყოველნაირად ხელი შეუშალოს ამ მცდელობას.

6 სექტემბერი, 1991 წ.

# წერილი მეგობრებს!

ჩემო მეგობარო კრემლის აგენტებო, — აქედან, ზოგ-ზოგებო, ხალხის მტრებოც კი! — არა ხართ ჩემთან მართალი! თუ მტრის მხარეზე გადასვლას აპირებდით, რა დიდი მომზადება მე მინდოდა, — ჩემთვისაც გეთქვათ!

მერე რა, ღალატში „გაწაფული" რომ არ ვიყავი! ავდგებოდი და, ამ მეტისმეტად პრესტიჟულ პროფესიას, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მეც თქვენთან ერთად დავეუფლებოდი!

ანდა, საიდან მეტყობოდა, კრემლის აგენტის წოდებაზე წარსადგენ პირობებს სხვაზე ნაკლებ რომ ვაკმაყოფილებდი!

თქვენი არ იყოს, მეც ხომ მქონდა უფლება საქართველოსთვის ხმამაღლა მეთქვა:
„მე შემიძლია შენი გულისთვის,
დაუნანებლად დავლიო სული!.."

აბა, თქვე კაი ხალხო, დამიტებით რა ჯადო გაქვთ ისეთი, თქვენ რომ კრემლის აგენტობა გაინაღდეთ, მე კიდევ ხალხის თვალში ჭერაც არიფად გამოვიყურები!

კი, ბატონებო, — „გიყვარდეთ საქართველო სიცოცხლეზე მეტად!" — მაგრამ ვინ დაადგინა, ჩემზე მეტადაც რომ უნდა გიყვარდეთ?!

არა, მეგობრებო! კრემლის კი არა, ცერეუს აგენტებიც რომ იყოთ, არ შეიძლება კაცის ასე გაწირვა და განაპირება! — თუ საქართველოს სიყვარული ღალატად გვეთვლება, მე რას დაგიშავებდით, თქვენს გვერდით რომ ვყოფილიყავი?! — ერთი აგენტით მეტი ეყოლებოდა თუ ნაკლები კრემლს საქართველოში, ამით რა, ქვეყანა იქცეოდა?

ეჰ, ჩემო საყვარელო მეგობრებო, და, თანაც ხალხის მტრებო! — გაირტყით კრემლის აგენტობა და თავი ქუდში გაქვთ! — აწი ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის შეგიძლიათ თვალის გახწორება!

ჩემი თავი, ალბათ, აღარც გენაღვლებათ, ამ პრესტიჟული სიის მიღმა რომ დავრჩი...

არადა, ყველაფერს მართლა ბედი ხომ უნდა, თქვე მართლა აგენტებო! რომელ თქვენგანზე ნაკლებ მქონდა თავი საქართველოსთვის გადადებული?

შედეგი კი მაინც სხვადასხვა მივიღეთ! — ქვეყნის მოღალატის სახელით თქვენ უკვე ამაყად დახვალთ ამ ქვეყანაზე, მაშინ, როცა მე კრემლის აგენტის წოდებაც ვერ დავიმსახურე!..

ხალხი არა ხართ? — ის მაინც მითხარით, რა დავალებებს უსრულებთ კრემლს ისეთს, მე რომ მის გაკეთებას ვერ შევძლებ?!

თუ ისინი თავის აგენტებისგან პირდაპირ საქართველოს „დაქცევას" მოითხოვენ, მე ეს საქმე სანახევროდ მოლეული მაქვს! — მრავალპარტიულ არჩევნებში სწორედ იმ საარჩევნო ბლოკს დავუჭირე მხარი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი, წესიერ კაცს, დღეს უკვე გულს ურევს!..

ახე რომ, კრემლის აგენტის საპატიო წოდების მოსაპოვებლად რამდენიმე ბალი მე წინდაწინ მქონდა აღებული!

ხოლო თუ ეს წოდება ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგაც ვერ დავიმსახურე, უბედურ ვარსკვლავზე გავჩენილვარ და... შეიძლება წყალსაც მივცე თავი!

ოღონდ, ის კი გულით მინდოდა: ამდენ კაი ხალხში — კრემლის თვალსაჩინო აგენტებში! — კიდევ ცოტა ხანს მეც მეტრიალა!..

ძველებური სიყვარულით — აწ უკვე კრემლის აგენტობის რეალური პრეტენდენტი —

თამაზ წივწივაძე,
9.09.91 წ.




მურთაზ აბაშიძის ნახატი.

ინდექსი 66447

ფასი 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ: 22-10-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოში"
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი